საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
GEORGIA
საკრებულო
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)591 07 44 22;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. : (+995)591 07 44 22;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 4 სექტემბერი 2020 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 29

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა) ჭალეს ადმინისტრაციული ერთეულში, ფოცხო-ეწერის დასახლებაში, მდებარე შენობა (საკადასტრო კოდი 47.12.32.019);
ბ) ქალაქ ჯვარში (ჯვარზენი) ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარე შენობა (საკადასტრო კოდი 47.14.35.241);
გ) ქალაქ წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე მდებარე კინო-თეატრის შენობა (საკადასტრო კოდი 47.11.43.098) ;
დ) ქალაქ წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე მდებარე შპს „წალენჯიხის სპორტკომპლექსის“ შენობა (საკადასტრო კოდით 47.11.44.428).

2.მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, N68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო მოთხოვნის საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, (ხოლო მასში არსებული მოძრავი ნივთები-თხოვების ფორმით) გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიებს საქმიანობის ვადით;

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადება;

4.დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს და საკრებულოს აპარატს ამ განკარგულების გამოქვეყნება მერიის /საკრებულოს ვებგვერდზე (www.tsalenjikha.gov.ge) და ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფებზე (მისამართი ქ.წალენჯიხა, სალიას ქ.N5);

5. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აგვისტოს N21 განკარგულება;

6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალების შემსრულებელი
დარეჯან დადიანი